გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 16

2024 წლის 9 თებერვალი

ქ. გორი

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქიწნისის საჯარო სკოლისათვის მიხეილ ქობლიანიძის სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

მიმდინარე წლის 08 იანვარს საკრებულოში შემოსულია სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქიწნისის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის რუსუდან თვაურის წერილი, რომლის თანახმად წარმოდგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" შესაბამისად სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქიწნისის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქიწნისის საჯარო სკოლისათვის ამავე სოფლის მკვიდრის, საზოგადოების კონსოლიდაციის საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე პირის - მიხეილ ქობლიანიძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" ბრძანების მე-4[1] მუხლის შესაბამისად,

1. გაიცეს თანხმობა სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქიწნისის საჯარო სკოლისათვის მიხეილ ქობლიანიძის სახელის მინიჭების შესახებ.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30)

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**